ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების
მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №11

20.11. 2018 წელი

ქ.ლანჩხუთი

სხდომას ესწრებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე.

კომისიის წევრები: ალექსანდრე მახათაძე, ზაალ სანაძე, ზურაბ კუკულავა, თორნიკე ტიკაძე, ირაკლი მარშანიშვილი, ზაზა წულაძე, კარლო კვიტაიშვილი,

მოწვეული: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე, საკრებულოს მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.
კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატი: ოთარ პატიეშვილი.

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.
მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი
კომისიის სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის განვითარება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2019-2022 წწ-ში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:
-ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
-დასუფთავება და გარემოს დაცვა;
-განათლება;
-კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
-მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

-მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

წარმოდგენილი 2019 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ გამოითქვა გარკვეული შენიშვნები. კერძოდ,

კომისიის წევრების აზრით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სკოლამდელი აღზრდისთვის გამოყოფილი თანხიდან უნდა იქნას გათვალისწინებული იმ პედაგოგთა შრომის ანაზღაურების ფინანსურად მოწესრიგება, რომლებიც საბავშვო ბაღებში საპასუხისმგებლო სამუშაოს ასრულებენ, მაგრამ მინიმალურ ხელფასს იღებენ. მუნიციპალიტეტის შემოსავლებიდან გამომდინარე შემუშავებული უნდა იქნას გრძელვადიანი გეგმა და 2019 წლიდან უნდა განხორციელდეს სკოლამდელი აღზრდის პედაგოგთა სარგოების ზრდა. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლებიდან ტრანსპორტის უქონლობის გამო ვერ ხერხდება სკოლამდელი აღზრდის ბავშვების გადაადგილება, რაც მშობლების დიდ უკმაყოფილებას იწვევს.

კომისიის წევრები მიიჩნევენ, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურეობის ცენტრი, რომელიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებას ახდენს, ასევე ქალაქის ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ახორციელებს სათავე-ნაგებობებისა და წყლის მაგისტრალების შეკეთებას, გარე განათების ქსელის მოწესრიგებას, მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვისგან ქალაქის ტერიტორიის დაცვას, ქალაქში არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობას, გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან აუცილებელია გაიზარდოს მათი დაფინანსება 300 000 ლარის ოდენობით. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ტექნიკა, რომელიც აღნიშნულ ა(ა)იპ გააჩნია მწყობრიდან არის გამოსული და საჭიროებს შეკეთებას.

კომისიის წევრები მიიჩნევს, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ,,სპორტულ ცენტრს", რომელსაც ჰყავს საფეხბურთო გუნდი ,,ჩიბათი" და ძირითადი ბირთვი დაკომპლექტებულია ლანჩხუთელი პერსპექტიული ახალგაზრდებით, დიდ წარმატებას მიაღწია, გადავიდა რეგიონალ ლიგაში და მოიპოვა 50 000 დაფინანსება, რომელიც ფეხბურთელების ტრანსპორტირებას, კვებასა და ფორმით აღჭურვას უზრუნველყოფს 2019 წლის რეგიონალ ლიგის გათამაშებაში. წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში კი გათვალისწინებული არ არის სამომავლოდ მათი წახალისება თუნდაც მიზერული თანხით.

ასევე კომისიის წევრებს მიაჩნიათ, რომ შპს ,,ლანჩხუთი", რომელიც ახორციელებს ცენტრალური სტადიონისა და გრიგოლეთის საწთვრნელი ბაზის მოვლა-პატრონობას დაემატოს ჩიბათის, ჯურუყვეთისა და ნიგოითის საფეხბურთო სტადიონები, რომლებიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მომავალი თაობის სპორტული აღზრდისა და განვითარებისთვის. შესაბამისად უნდა გაიზარდოს შპს ,,ლანჩხუთის" დაფინანსება.

კომისიის წევრებს მიაჩნიათ, რომ სამკურნალო-საოპერაციო პროგრამები უნდა გაიზარდოს იმდენი ათასი ლარით, რამდენიც გასულ წელს მიმართული იყო ერთჯერადი დახმარების პროგრამაზე. ასევე უნდა შეიცვალოს ამ პროგრამებიდან გაცემის წესი, კერძოდ უნდა იქნას ამოღებული ქულათა საჭიროება.

კომისიის წევრების აზრით, მუნიციპალიტეტის შიდა გზების არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე საჭიროებას წარმოადგენს მუნიციპალიტეტისათვის გრეიდერისა და ერთი თვითმცლელის შეძენა, რომელიც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული 2019 წლის ბიუჯეტში.

დეპუტატმა ალექსანდრე მახათაძემ აღნიშნა, რომ 2019 წლის ბიუჯეტის სახელფასო რესურსი სასურველია დაიგეგმოს 13 თვეზე, ვინაიდან თანამშრომლები წელიწადში ერთხელ მათზე დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულების გამო წახალისდნენ დანამატის სახით, რასაც კომისიის წევრებმაც მხარი დაუჭირა.

დეპუტატმა კარლო კვიტაიშვილმა აღნიშნა, რომ ქალაქის შიდა ქუჩებზე დაზიანებულია ასფალტის საფარი. იგი მიიჩნევს, რომ 2019 წლის ბიუჯეტში უნდა მოხდეს თანხის გათვალისწინება, რომელიც არსებულ პრობლემებს მოაწესრიგებს. ასევე იგი თვლის, რომ მინიმალურია და უნდა გაიზარდოს თეატრში მომუშავე ცეკვისა და სიმღერის მასწავლებელთა ხელფასები.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:
დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გათვალისწინებით.
სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა
და ბუნებრივი რესურსების საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: გიორგი ჩახვაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის დასკვნა №11

20. 11. 2018 წელი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 20 ნოემბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გათვალისწინებით.

მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების
მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **გიორგი ჩახვაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

20.11. 2018 წელი
15:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	გიორგი ჩახვაძე	15:00	
2	ზაზა წულაძე	15:00	
3	კარლო კვიტაიშვილი	15:00	
4	ალექსანდრე მახათაძე	15:00	
5	ზაალ სანაძე	14:55	
6	თორნიკე ტიკაძე	14:59	
7	ოთარ პატიეშვილი	არ ესწრებოდ	
8	ზურაბ კუკულავა	14:59	
9	ირაკლი მარშანიშვილი	14:59	